კარგი მმართველობის სკოლა

16-20 სექტემბერი, 2024

ბორჯომი, საქართველო

კარგი მმართველობის სკოლა ორგანიზებულია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ, USAID-ის საჯარო მმართველობის პროგრამის მხარდაჭერით, პროექტის - „ახალგაზრდების ჩართულობისა და მენტორინგისთვის საჯარო პოლიტიკის საპილოტე ინიციატივები“ - ფარგლებში.

დღის წესრიგი

16 სექტემბერი

გამგზავრება თბილისიდან



17 სექტემბერი

09:00-10:00

საუზმე

10:00-10:45

მისალმება | მონაწილეების გაცნობა | პროგრამის გაცნობა

გიორგი კლდიაშვილი
აღმასრულებელი დირექტორი,
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

თეონა ტურაშვილი
ადგილობრივი მმართველობის, ინტერნეტისა და ინოვაციების მიმართულებების ხელმძღვანელი, IDFI

10:45-12:30

ევროინტეგრაციის გზაზე მოთხოვნილი რეფორმები - კორუფციასთან ბრძოლისა და დეოლიგარქიზაციის რეფორმები - სამართლებრივი ბაზა, პრაქტიკა და მთავარი გამოწვევები

გიორგი დავითური
კანონის უზენაესობისა და მედიის თავისუფლების მიმართულების ხელმძღვანელი, IDFI

12:30-14:00

საჯარო მმართველობის რეფორმა, კარგი მმართველობისა და საჯარო ადმინისტრირების რეფორმების ჭრილში

პაატა ტურავა
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი

14:00-15:00

სადილი

15:00-16:30

საზედამხედველო და დამოუკიდებელი ინსტიტუტების გაძლიერება

გიორგი ბურჯანაძე
თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სამოქალაქო საზოგადოების ფონდის სამართლებრივი მრჩეველი

16:30-17:00

ანალიტიკური სტატიებისთვის საკითხის შერჩევა

თეონა ტურაშვილი
ადგილობრივი მმართველობის, ინტერნეტისა და ინოვაციების მიმართულებების ხელმძღვანელი, IDFI

19:00-20:00

ვახშამი

18 სექტემბერი

09:00-10:00

საუზმე

10:00-11:30

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში

გოგა თუშურაშვილი
კვლევითი მიმართულების ხელმძღვანელი, IDFI

11:30-13:00

ხელისუფლების საქმიანობის მონიტორინგი: გამოყენებული რესურსები, დაბრკოლებები და მიღწევები

გიორგი მგელაძე
საგამოძიებო მიმართულების რედაქტორი, რადიო თავისუფალი ევროპის/რადიო თავისუფლების თბილისის ბიურო

13:00-14:00

სადილი

14:00-15:30

ხელისუფლების საქმიანობის მონიტორინგი: გამოყენებული რესურსები, დაბრკოლებები და მიღწევები

ნინო რამიშვილი
გამომძიებელი ჟურნალისტი, სტუდია მონიტორი

15:30-15:45

ყავის შესვენება

15:45-17:00

შერჩეული ანალიტიკური სტატიებისთვის საჭირო ინფორმაციის მოძიებისა და გამოთხოვნის გზები

გოგა თუშურაშვილი
კვლევითი მიმართულების ხელმძღვანელი, IDFI

თეონა ტურაშვილი
ადგილობრივი მმართველობის, ინტერნეტისა და ინოვაციების მიმართულებების ხელმძღვანელი, IDFI

19:00-20:00

ვახშამი

19 სექტემბერი

09:00-10:00

საუზმე

10:00-11:30

შესაბამისი მონაცემების შეგროვება, საჯარო ინფორმაციის წერილების მომზადება და კვლევითი გეგმის დასახვა - ინდივიდუალური | ჯგუფური დავალება/ სამუშაო

თეონა ტურაშვილი
ადგილობრივი მმართველობის, ინტერნეტისა და ინოვაციების მიმართულებების ხელმძღვანელი, IDFI

11:30-13:00

პრეზენტაციები და შედეგების განხილვა

თეონა ტურაშვილი
ადგილობრივი მმართველობის, ინტერნეტისა და ინოვაციების მიმართულებების ხელმძღვანელი, IDFI

გოგა თუშურაშვილი
კვლევითი მიმართულების ხელმძღვანელი, IDFI

13:00-14:00

სადილი

14:00-15:30

საჯარო ფინანსების მონიტორინგის მეთოდები

გოგა თუშურაშვილი
კვლევითი მიმართულების ხელმძღვანელი, IDFI

15:30-15:45

ყავის შესვენება

15:45-16:30

ჯგუფური დავალება

გოგა თუშურაშვილი
კვლევითი მიმართულების ხელმძღვანელი, IDFI

16:30-17:00

მონაცემთა ვიზუალიზაცია

თეონა ტურაშვილი
ადგილობრივი მმართველობის, ინტერნეტისა და ინოვაციების მიმართულებების ხელმძღვანელი, IDFI

19:00-20:00

ვახშამი

20 სექტემბერი

09:00-10:00	საუზმე
10:00-11:00	ინდივიდუალურ პროექტებზე მუშაობა: მონაცემების გადახედვა და საჭიროებების გამოკვეთა, კონსულტაციები ფასილიტატორებთან
11:00-12:00	ინდივიდუალური დავალებების შედეგების განხილვა, ფასილიტატორების უკუკავშირი და შემდეგი ეტაპების დაგეგმვა
12:00-13:00	შეჯამება და სერტიფიკატების გადაცემა
13:00-14:00	სადილი
15:00	გამომგზავრება თბილისში

მომხსენებელი

გიორგი კლდიაშვილი

აღმასრულებელი დირექტორი
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

გიორგი კლდიაშვილი არის IDFI-ის თანადამფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორი. მას აქვს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ ღია მმართველობის და ანტი-კორუფციასთან ბრძოლის საკითხებზე მუშაობის 10 წელზე მეტი ხნის გამოცდილება. გიორგის განხორციელებული აქვს პროექტები, კვლევები და ტრენინგები სხვადასხვა საერთაშორისო და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციისთვის და სახელმწიფო დაწესებულებისთვის. გიორგი კლდიაშვილი არის ავტორი რიგი ნაშრომებისა, რომლებიც ეხება: საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, ანტიკორუფციულ პოლიტიკას, კარგ მმართველობას, გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას, ელექტრონულ მმართველობასა და დემოკრატიას, ღია მონაცემებს, საჯარო სამსახურს და საჯარო ადმინისტრირებას, მედიას და ინტერნეტს.

IDFI-ისთან დაკავშირებული საქმიანობის გარდა გიორგი კლდიაშვილს, როგორც სპეციალობით ისტორიკოსს, აქვს გამოცდილება აკადემიურ საქმიანობაში, კერძოდ, ამერიკისა და საბჭოთა კავშირის ისტორიის შესახებ კვლევებში. ის არის პროფესიონალი არქივის მკვლევარი და აქვს საქართველოსა და უცხოეთის არქივებში მუშაობის 20 წლიანი გამოცდილება. გიორგი კლდიაშვილს აქვს დამთავრებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის დოქტორანტურა და მუშაობდა პროფესორად და ასწავლიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკის შესწავლის ინსტიტუტში.

გიორგი კლდიაშვილი 2017-2020 წლებში იყო ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) მმართველი კომიტეტის წევრი სამოქალაქო საზოგადოებიდან.

მომხსენებელი

გიორგი ბურჯანაძე

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
სამოქალაქო საზოგადოების ფონდის სამართლებრივი მრჩეველი

2005-2009 წლებში გიორგი სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამაზე. 2009-2011 წლებში დაასრულა იმავე უნივერსიტეტის სისხლის სამართლის მაგისტრატურა. 2011-2012 წლებში სწავლობდა ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში და მოიპოვა შედარებითი კონსტიტუციური სამართლის მაგისტრის ხარისხი. არის სხვადასხვა მოკლევადიანი სასწავლო და გაცვლითი პროგრამის კურსდამთავრებული და მონაწილე როგორც საქართველოში, ისე ევროპისა და აშშ-ს წამყვან უნივერსიტეტებში და ორგანიზაციებში.

2018-2023 წლებში ეკავა საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილის თანამდებობა. 2023-2024 წლებში მუშაობდა ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის სამართლებრივი მრჩევლის პოზიციაზე აშშ-ს საელჩოში საქართველოში. 2014-2018 წლებში ხელმძღვანელობდა ღია საზოგადოება საქართველოს ადამიანის უფლებების პროგრამას. 2012-2014 წლებში მუშაობდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტში, სახალხო დამცველის აპარატის გაძლიერება, უფროსი სამართლებრივი მრჩევლის პოზიციაზე. 2010-2012 წლებში ეკავა სახალხო დამცველის აპარატის მართლმსაჯულების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის თანამდებობა. 2009-2010 წლებში მუშაობდა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში იურისტის პოზიციაზე. ძირითადი საქმიანობის პარალელურად, გიორგის აქვს გაეროს სააგენტოებთან, ევროსაბჭოს სხვადასხვა ორგანოსთან და სხვა ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გამოცდილება სხვადასხვა დოკუმენტის, კანონპროექტის ან კვლევის მომზადების მიზნით. გიორგი არის არაერთი ანგარიშის, სტატიის და სახელმძღვანელოს ავტორი/თანაავტორი.

მომხსენებელი

პაატა ტურავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი

პაატა ტურავას მინიჭებული აქვს გერმანიის პოტსდამის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის მაგისტრის (Magister Legum, LL.M) (2002 წ.) და სამართლის დოქტორის (2006 წ) სამეცნიერო ხარისხი.

2002 წლიდან ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

მონაწილეობს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საჯარო სამსახურის რეფორმის ხელშეწყობის მიზნით განხორციელებულ პროექტებში. 2002 წლიდან დღემდე ექსპერტისა და ტრენერის სტატუსით მონაწილეობს საერთაშორისო ორგანიზაციების - EU, World Bank, USAID, UNDP, NATO, GIZ – პროექტებში საკანონმდებლო აქტების შემუშავების მიზნით და საჯარო მოსამსახურეთა, მოსამართლეთა და ადვოკატების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ჩატარებულ სასწავლო ღონისძიებებში.

მონაწილეობს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში ევროპის და აშშ-ს სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებში. არის არაერთი სახელმძღვანელოს და მონოგრაფიის ავტორი ადმინისტრაციულ სამართალში.

ფლობს გერმანულ, ინგლისურ და რუსულ ენებს. ყავს მეუღლე და ორი შვილი.

მომხსენებელი

ნინო რამიშვილი

გამომძიებელი ჟურნალისტი
სტუდია მონიტორი

ნინო რამიშვილი 15 წელზე მეტია მუშაობს ჟურნალისტად. ნინო იყო ახალი ამბების სააგენტოს ჟურნალისტი და შემდეგ რედაქტორი. 2016 წლიდან მუშაობს „სტუდია მონიტორში" გამომძიებელ ჟურნალისტად. ძირითადად აშუქებს კორუფციას, გარემოსადაცვით საკითხებს და ადამიანის უფლებებს. მომზადებული აქვს ჟურნალისტური გამოძიებები სასამართლო სისტემაში არსებულ კორუფციაზე, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროგრამებში, მშენებლობის ნებართვებში, სახელმწიფო ტენდერებში კორუფციულ გარემოებებზე. ნინო არის საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს წევრი.

მომხსენებელი

გიორგი მგელაძე

საგამოძიებო მიმართულების რედაქტორი
რადიო თავისუფალი ევროპის/რადიო თავისუფლების თბილისის ბიურო

გიორგი მგელაძე არის რადიო თავისუფალი ევროპის/რადიო თავისუფლების თბილისის ბიუროს, საგამოძიებო მიმართულების რედაქტორი, სადაც გიორგი ოთხ წელზე მეტია მუშაობს. გარდა ამისა, გიორგი 20 წელზე მეტია ჟურნალისტურ გამოძიებებს ამზადებს სხვადასხვა ქართული მედიასაშუალებებისთვის. ასევე, გიორგის მოუმზადებია მასალა ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის გაშუქების პროექტის OCCRP-ს ფარგლებში. მანამდე, გიორგი მუშაობდა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე, კერძო ტელეკომპანია რუსთავი 2-სა და საგამოძიებო ფილმების მწარმოებელ “სტუდია მონიტორში”.

2013 წლიდან დღემდე, გიორგი ოთხჯერ გახდა გამარჯვებული საქართველოში ყველაზე პრესტიჟული ჟურნალისტური კონკურსის „ევროკავშირის პრიზი ჟურნალისტიკაში” საუკეთესო საგამოძიებო მასალის ნომინაციაში.

გარდა ჟურნალისტური გამოძიებების მომზადებისა, გიორგი აქტიურად იყო ჩართული საქართველოში ეთიკური ჟურნალისტიკის განვითარებაში. გიორგი არის ერთ-ერთი დამფუძნებელი და წევრი საქართველოში ყველაზე დიდი ჟურნალისტური გაერთიანების, „საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის”. გიორგი 6 წლის განმავლობაში იყო ამ ორგანიზაციის მმართველი საბჭოს წევრი, 3 წლის განმავლობაში თავმჯდომარე, მცირე ხნით კი, აღმასრულებელი დირექტორი.

მომხსენებელი

გიორგი დავითური

კანონის უზენაესობისა და მედიის თავისუფლების მიმართულების ხელმძღვანელი
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

გიორგი დავითური IDFI-ის გუნდს 2020 წლის ოქტომბერს შემოუერთდა. IDFI-ში გადმოსვლამდე, იგი იკავებდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მთავარი სამართლებრივი მრჩევლის პოზიციას. მისი პროფესიული გამოცდილება, მოიცავს საჯარო სამსახურში, სამოქალაქო სექტორსა და აკადემიურ სფეროში საქმიანობის 8 წელს.

გიორგი დავითურს აქვს არაერთი ანალიტიკური პროექტის მართვის, სამართლებრივი ბიზნესპროცესების ოპტიმიზაციისა და გაციფრულების, ასევე, საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოში მხარეთა წარმომადგენლობის გამოცდილება. განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს, საკონსტიტუციო სამართალწარმოების ელექტრონული სისტემის შექმნისა და კონსტიტუციური მართლმსაჯულების არქივის გაციფრულების პროცესის მართვა. აგრეთვე, მის მიერ დაგეგმილი და დაწყებული რამდენიმე წარმატებული სტრატეგიული სამართალწარმოება, რომელთა შედეგებმა არსებითად შეცვალა შესაბამის უფლებათა განმარტებისა და გამოყენების პრაქტიკა.

გიორგი დავითური ფლობს ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრის და მაგისტრის ხარისხს საჯარო სამართლის მიმართულებით. აქვს სხვადასხვა უნივერსიტეტში მოწვეულ ლექტორად მუშაობის რამდენიმე წლიანი გამოცდილება და ჩატარებული აქვს არაერთი ტრეინინგი სხვადასხვა პროფესიული ჯგუფების წარმომადგენელთათვის. იგი არის რამდენიმე აკადემიური ნაშრომისა და სახელმძღვანელოს, აგრეთვე, არაერთი ანალიტიკური ბლოგის ავტორი/თანაავტორი.

მომხსენებელი

თეონა ტურაშვილი

ადგილობრივი მმართველობის, ინტერნეტისა და ინოვაციების მიმართულებების ხელმძღვანელი
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

თეონა ტურაშვილი არის ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) ადგილობრივი მმართველობის, ინტერენტისა და ინოვაციების მიმართულებების ხელმძღვანელი. თეონას აქვს სამოქალაქო საზოგადოებაში 11 წელზე მეტი ხნით მუშაობის გამოცდილება ადგილობრივი მმართველობის, ღია მონაცემების, მონაცემთა ჟურნალისტიკის, კარგი მმართველობის, ხელისუფლების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების, ელექტრონული მმართველობის, ინოვაციების, შესაძლებლობების განვითარების, საზოგადოების მონაწილეობის, ციფრული წიგნიერების, ინტერნეტის საკითხებზე. თეონამ აღნიშნულ თემებზე ათობით პროექტი და ინიციატივა განახორციელა.

გარდა ამისა, თეონას აქვს დიდი გამოცდილება შესაძლებლობების გამაძლიერებელი მასალებისა და მოდულების შემუშავებისა და გამოყენების საკითხებში, რომლებიც განკუთვნილი იყო სხვადასხვა დაინტერესებული მხარისთვის, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზა-ციებისთვის, ჟურნალისტებისთვის, აქტივისტებისა და საჯარო მოხელეებისთვის. აღნიშნული აქტივობები ფარავდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა სამოქალაქო ჩართულობა, ადგილობრივი მმართველობა, ღია მონაცემების ხელმისაწვდომობა და გამოყენება, მონაცემთა ჟურნალისტიკა, კარგი მმართველობა, მთავრობის ანგარიშვალდებულების ონლაინ და ოფლაინ მექანიზმები, ელექტრონული მმართველობა, ელექტრონული მონაწილეობა, მედია და ციფრული წიგნიერება, ბენეფიციარი საკუთრების გამჭვირვალობა, ასევე მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) და სხვა მსგავსი საკითხები.

მომხსენებელი

გოგა თუშურაშვილი

კვლევითი მიმართულების ხელმძღვანელი
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

გოგა თუშურაშვილი არის ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) კვლევითი მიმართულების ხელმძღვანელი. გოგა IDFI-ს გუნდს 2011 წლიდან შემოუერთდა და ამ პერიოდში ის მუშაობდა, ანალიტიკოსის, ეკონომიკისა და სოციალური პოლიტიკის პროგრამის და კვლევითი მიმართულების ხელმძღვანელის პოზიციებზე. მისი სამუშაო გამოცდილება ფარავს კარგი მმართველობის, სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის, საჯარო ფინანსების, ხელისუფლების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების საკითხებს.

გოგა არის აღნიშნულ თემებზე მრავალი კვლევის და ანალიტიკური ნაშრომის ავტორი/ თანაავტორი. ასევე, ამ საკითხებზე მას ჩატარებული აქვს არაერთი ტრეინინგი სხვადასხვა პროფესიული ჯგუფების წარმომადგენელთათვის.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

ტ. შევჩენკოს ქ. 20 0108
თბილისი საქართველო

+995 32 2 921514

INFO@IDFI.GE

WWW.IDFI.GE